

გია ჩილინგარაშვილი

**არქეოლოგიური დაზვერვები სამცხეში, ადიგენის
ტერიტორიაზე**

შესავალი

არქეოლოგიური დაზვერვები ადიგენის ტერიტორიაზე წარმოებდა 2013-2015 წლებში, 2017 წელს სამუშაოები განახლდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო პროექტების ფარგლებში მოპოვებული გრანტით. მოცემულ სტატიაში ძირითადად განხილული გვაქვს ჩვენს მიერ დაფიქსირებული აქამდე ცნობილი თუ უცნობი ძეგლების ერთი ნაწილი, რომლებიც მდებარეობს სოფლების უდეს, არლისა და წარბასთუმნის ტერიტორიაზე, მდინარე ქვაბლიანსა და ფოცხოვს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე და მიმდებარე არეალზე (სურ. 1).

დაზვერვების მიზანი იყო პირველადი მონაცემების შეგროვება, არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენა და ფიქსაცია, საბოლოო ჯამში კი ძეგლების გავრცელების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული რუკის შედგენა. სადაზვერვო სამუშაოების მარშუტი წინასწარ იყო განსაზღვრული სატელიტურ (Google earth და Bing) ფოტოებზე დაკვირვებით. ხდებოდა პოტენციური არქეოლოგიური ობიექტების მონიშვნა, შემდეგ კი უშუალოდ ველზე მათი შემოწმება. ასევე, სამუშაოების დასაგეგმად ვიყენებდით საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებს, რომელზეც დატანილია იმ პერიოდისათვის ხილვადი ნანგრევები, რომლებიც შესაძლოა დღეს აღარ იკითხებოდეს.

გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი ფართობი დიდია, ტერიტორია დაიყო ორ ძირითად პოლიგონად, გამოყოფილი საზღვარად კი მდინარე ქვაბლიანის ხეობა იქნა გამოყენებული.

I – მდინარის მარჯვენა მხარე, რომელიც ერუშეთის მთის სამხრეთ კალთას წარმოადგენს, ჩრდილოეთით შემოსაზღვრავს მდ. ქვაბლიანი, აღმოსავლეთის მხრიდან – მდ. ფოცხოვი, სამხრეთით – საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზონაა, დასავლეთით კი – აჭარა.

II – მდინარის მარცხენა მხარე, რომელიც მესხეთის ქედის სამხრეთი კალთაა, სამხრეთით მდინარე ქვაბლიანია, დასავლეთი-დან ასევე აჭარას ესაზღვრება, ჩრდილოეთით ადმინისტრაციული საზღვარი გურიასთან და იმერეთთან აქვს, აღმოსავლეთით კი ახალციხის მუნიციპალიტეტთან.

რაც შეეხება უშუალოდ ველზე მუშაობას, დაზერვებისთვის გამოვიყენეთ სისტემატური მეთოდი, მოხდა ამა თუ იმ ჩვენთვის საინტერესო არეალის ფეხით, სწორ ბილიკებად დასერვა და არქეოლოგიური მასალის შეგროვება – თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვის, ძვლის თუ სხვა მასალა, რაც საშუალებას მოვცემდა განვგვესაზღვრა ადგილის მიახლოებითი თარიღი.

ძეგლების დასაწყისური მეთოდი და პროექტის ინგლისური სახელწოდების აკრონიმი AAS (Adigeni Archaeological Survey). ზოგიერთ შემთხვევაში მოხერხდა ადგილთა სახელწოდების მოძიება და განხილვის დროს ძეგლებს ტოპონიმის სახელით წარმოვადგენთ.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში, გარდა წმინდა არქეოლოგიური ლიტერატურისა, რომელიც ამ მხარეში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევებს უკავშირდება, მნიშვნელოვან როლს ვანიჭებთ ისეთ წერილობით წყაროებს, როგორიცაა ქართლის ცხოვრება და ადრე შუასაუკუნეების ჰაგიოგრაფიული ძეგლი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელშიც ასახულია ადრე შუა საუკუნეებში ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენები, ამიტომ აქ მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული. ასევე ამ არეალის და ზოგადად, სამცხე-ჯავახეთის წარსულის კვლევისათვის მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროებია: „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, „ჯაბა დავთარი“ და სხვ.

კიდევ ერთ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს გიორგი ბოჭორიძის „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“. ავტორმა 1932-1933 წლებში რეგიონში იმოგზაურა და ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა აქ არსებული მატერიალური კულტურის შესახებ.

საინტერესო საბჭოთა პერიოდის დაბა ადგიგნის კომუნისტურ გაზეთში „განახლებული მესხეთი“ ადგილობრივი მხარეთმცოდნებისა და მკვლევარების მიერ პერიოდულად გამოქვეყნებული სტატიები, ცალკეული სოფლებისა თუ ძეგლების ისტორიაზე, მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებზე, შემთხვევით აღმოჩენებზე, ტოპონიმებზე და სხვ. გაზეთის სხვადასხვა ნომრებში ამგვარი ცნობები მრავლადაა, ამიტომ მათი გაცნობა და ანალიზი ერთ-ერთი პრიორიტეტულია ჩვენს კვლევაში, ამ ეტაპზე კი მიმდინარეობს ამ ცნობების შეკრება და დამუშავება.

შესწავლის ისტორია

მიუხედავად რთული ლანდშაფტურ-გეოგრაფიული გარე-მოსი, როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებს, ამ მხარის ათვისება პრეისტორიული ხანიდან იწყება და მუდმივად დასახლებული იყო.

პირველი დოკუმენტური ცნობა სამცხის ამ ნაწლში არქეოლო-გიური აღმოჩენის შესახებ XIX საუკუნის ბოლოთი თარიღდება, როდესაც მდ. კურცხანის წყლისა და ოცხისწყლის შესართავთან, ოცხესაგან მარჯვნივ, სახლის საძირკვლის თხრის დროს აღ-მოჩნდა თიხის მცირე ზომის დოქი და 3 მონეტა. აღმოჩენის შესახებ ახალციხის მაზრის უფროსმა დ. ბაქრაძეს აცნობა და „კავ-კასიის ისტორიის და არქეოლოგიის საზოგადოების“ წევრების მიელინებას სთხოვდა [ჯორბენაძე 2005:217]. მოვლენების შემდ-გომი განვითარება ჩვენთვის უცნობია.

შემთხვევითი აღმოჩენები ამ მხარეში შემდგომშიც გაგრძელდა. ცნობილია, რომ 1935 წელს აბასთუმანში სანატორიუმის მშენებ-ლობის დროს ადრებრინჯაოს ხანის ქვაყთები აღმოჩენილა. სამაროვანი შესწავლის გარეშე განადგურდა, ჩვენამდე კი ამ სამარხებიდან მხოლოდ ერთმა ჭურჭელმა მოაღწია [ორჯონი-კიძე 1983:24].

პირველი გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები ამ მხარეში XX საუკუნის ვითანი წლებში მიმდინარეობდა. სოფ. აბასთუმან-თან ადგილ ბოდოკლდეზე ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელო-ბით, რომელიც მიზნად ისახავდა ისტორიული სამცხის პოლიტი-კური და ადმინისტრაციული ცენტრის – ოძხის ლოკალიზაციას [ლამბაშიძე 1978:4], თუმცა კვლევის შედეგები ჩვენთვის უცნობია.

ამის შემდეგ ადგიგნის მხარე არქეოლოგთა უურადლების ცენტრში 50-იანი წლებიდან მოექცა, როდესაც სოფ. უდეში შეთხვევით აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული კოლხური კულტურის განძი [ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი 1959:59-64]. ამავე პერიოდიდან იწყება გათხრითი სამუშაოებიც. ტ. ჩუბინიშვილმა სოფ. ბენარასთან „ზადენგორაზე“ ანარმოვა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა, სადაც ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურისა და ანტიკური ხანის ნაშთები აღმოჩნდა [ტენიშვილი თ. დ. 1957:127; ლამბაშიძე 1978:4]. რეგიონის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი იყო არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის ექს-პედიცია. რომელთა საქმიანობაც მრავალპროფილიანი იყო და მცირემასშტაბიან არქეოლოგიურ გათხრებსაც მოიცავდა. ექს-პედიციამ წლების განმავლობაში მდ. ოცხეს ხეობაში რამდენიმე

პუნქტზე გააკეთა საცდელი თხრილები, თუმცა შედეგები არ გამოქვეყნებულა. აქვე უნდა აღინიშნოს ამავე ექსპედიციის ფარგლებში, 1973 წელს აბასთუმანში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიც, რომელიც საბაგიროს მშენებლობის დროს გამოვლენილი და დაზიანებული ხალკოლით თუ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის გადარჩენას ემსახურებოდა [კალანდაძე 1974:9-10; კალანდაძე 1976:371-390]. ამავე ძეგლზე მცირემასშტაბიანი გათხრები 1977 წელსაც გაგრძელდა, შედეგები კი მეტად საყურადღებოა [Пхакадзе, Орджоникиძე 1978:487]. მოპოვებული მასალის სიმწირისა და ერთგვაროვნების გამო ვერ ხერხდება ამ ნამოსახლარის ცალსახა კულტურული ატრიბუცია, თუმცა მასალის გარკვეული ნანილი აშკარად უკავშირდება დასავლეთ საქართველოს ადრებრინაჯაოს ხანის კულტურას, ხოლო მეორე ნაზილი კი აღმოსავლეთის მტკვარ-არაქსის კულტურას. ისე ჩანს, თითქოს ეს ძეგლი კულტურათა გზაჯვარედინს ნარმოადგენდა [Пхакадзе и др. 1982; ორჯონივიძე 2004:74-75].

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა ო. ლამბაშიძის ხელმძღვანელობით. წლების განმავლობაში ექსპედიციის ცალკეული ჯგუფები რეგიონის მასშტაბით, ახალმშენებლობების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა არქეოლოგიურ ობიექტზე მუშაობდნენ. მათ შორის ადგიგენის ტერიტორიაზეც – სოფ. ფარეხაში, ბენარაში, ხევაშენში, ვარხანში და სხვ. [გამბაშიძე Օ., ი დრ. 1981:63; გამბაშიძე Օ., ი დრ. 1995:53-54]. ასევე აღსანიშნავია, რომ ექსპედიციას ადგილობრივმა მოსახლეობამაც გადასცა სხვადასხვა პუნქტში მინის სამუშაოების დროს შემთხვევით მოპოვებული არტეფაქტებიც სოფ. უდედან, ფარეხადან, არალიდან და სხვ. [ლამბაშიძე ო., 1978:4; გამბაშიძე Օ., ი დრ. 1987:53].

გარდა ძირითადი გადარჩენითი სამუშაოებისა, ექსპედიცია საველე არქეოლოგიურ დაზერვებსაც აწარმოებდა და შედეგად არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი იქნა აღმოჩენილი. მათ შორის გვიანბრინჯაოს ხანის გორა ნამოსახლარი და შუაბრინჯაოს ხანის ყორლანები სოფ. უდესთან [გამბაშიძე Օ., ი დრ. 1980:84], მრავალფენიანი ძეგლი სოფ. ამხერში, კ. „ამხერის გორა“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელზე, ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა და ადრემუასაუკუნეების კერამიკული მასალა დაფიქსირებულა. აქვე ზედაპირულად შეუგროვებით ბაზალტისა და ანდეზიტისაგან დამზადებული ქვედაპალოთიური – აშელური ხანის იარაღები [გამბაშიძე Օ. ი დრ. 1995:54; გამბაშიძე Օ. გამბაშიძე ი დრ. 1997:47]. ძეგლზე

90-იანი წლების ბოლოს რამდენიმე სეზონიანი გათხრითი სამუშაოები ჩაატარა სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციამ მ. გაბუნიას ხელმძღვანელობით, თუმცა აქ პალეოლითური კულტურული ფენა არ დადასტურებულა [გაბუნია მ., ფანჩულიძე ს., 2001:5-11; გაბუნია და სხვ. 2015:24]. ამავე ექსპედიციამ 90-იან წლებში ჩატარებული დაზვერვების შედეგად სოფ. უდესთან ნასოფლარ ქვემო წყისეს მიდამოებში აღმოაჩინა აშელური ხანის ბიფასი და საჩეხი იარაღი [გაბუნია მ., ფანჩულიძე ს., 2001:5; გაბუნია და სხვ. 2015:84].

ასევე აღსანიშნავია, რომ 1996 წელს სოფ. უდეს სამხრეთით, ადგილ კატრიანებში ადგილობრივმა გლეხმა, შემთხვევით ბრინჯაოს ნივთები აღმოაჩინა. მომდევნო წელს ტერიტორიაზე სადაზვერვო თხრილები გაავლო მესხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ირ. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით, თუმცა არქეოლოგიური ობიექტი არ დაფიქსირებულა. ამის შემდგომ სამუშაოები დაიწყო, ბუზმარეთში, ნასოფლარ ქვემო წყისეს ტერიტორიაზე, სადაც იგივე ადგილობრივის მიერ მიკვლეული იყო თლილი ბაზალტის ქვებით შედგენილი სამარხები. ექსპედიციამ გამოივლინა და შეისწავლა განვითარებული შუასაუკუნეების ერთი კოლექტიური აკლდამა და მის მიმდებარედ ამავე პერიოდის კულტური ფენა, უფრო სიღრმეში კი გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა და ამ პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები დადასტურდა [ღამბაშიძე 1997].

ადიგენის მუნიციპალიტეტში შემდგომში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები ისევ ახალმშენებლობებთან არის დაკავშირებული. ბოლო წლებში, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენის გაყვანისას, სამცხის ტერიტორიაზე BP-ის მილსადენის დერეფანში გამოვლინდა რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის ორჭოსანის მრავალფენიანი ნამოსახლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში. ამ უკანასკნელზე აღმოჩნდა შუა საუკუნეების ხამოსახლარი, თანადროული სამაროვნით, რომლის ქვედა ფენებშიც ადრეშუასაუკუნეების, გვიან ანტიკური, ელინისტური და ხალკოლითური ხანის ნაშთებიც დაფიქსირდა [გარამიძე და სხვ. 2007; ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010:105-108; ჯიბლაძე, ორჯონიკიძე 2014:13-33; ღამბაშიძე და სხვ. 2018:146-449; ღამბაშიძე, მინდორაშვილი 2018:449-549]. აღსანიშნავია, რომ ახალციხე-ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას დაიზვერა სამშენებლო კორიდორი, შედეგად კი გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტი და მოხდა მანამდე ცნობილი ობიექტების ფიქსაცია [ახალციხე-

ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, 2013:243-244].

მოკლედ, ასეთია ადგიგნში წარმოებული არქეოლოგიური კვლევის ისტორია. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია ამ ძეგლების შესახებ გაბნეულია სხვადასხვა ლიტერატურაში, ძირითადად, მოკლე ანგარიშიების სახით და ხშირ შემთხვევაში მოცემული ინფორმაცია ზოგადი და მნირია, ისე რომ მათზე დაყრდობით შეუძლებელია ამ ძეგლების იდენტიფიცირება და ფაქტობრივად მათი ნაწილი დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს.

ძეგლების კატალოგი

AAS001 (შუასერი) – მდებარეობს სოფელ არალის ჩრდილოეთით, ზღვის დონიდან 1066 მეტრზე. ობიექტი წარმოადგენს 40-50 მ სიმაღლის სოლისებური ფორმის კონცხს, რომელიც შემოჭრილია ჩრდილო დასავლეთიდან – სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. კონცხი ფორმირებულია სამხრეთის მხრიდან მდ. ქვაბლიანის, ჩრდილოეთის მხრიდან კი მდ. ოცხეს ზემოქმედებით. ყველაზე განიერ ადგილს დაახლოებით 500 მეტრია, ხოლო ყველაზე ვიწრო ადგილს 70 მ., კონცხის ზედაპირი უმნიშვნელოდ არის დაფერდებული აღმოსავლეთის მიმართულებით. მისი სიგრძე დახლებით 2.5 კმ-ა. სამი მხრიდან ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ეკვრის ვაკე მინდვრები. ჩრდილო-დასავლეთით კი სოფ. შორაველთან მესხეთის ქედს უერთდება. ჩრდილოეთის მხრიდან, დაახლოებით 200-ვით მეტრში მდინარე ოცხე ემიჯნება, ხოლო სამხრეთიდან კი ამავე მანძილზე მდინარე ქვაბლიანი.

შუასერზე აღმოსავლეთ მხარეს დგას თანამედროვე ეკლესია, რომელიც აგებულია უფრო ადრეული შენობის ნაშთებზე. უნდა აღინიშნოს, რომ აქ მთლიანად სამეურნეო სავარგულებია მოწყობილი, რაც დაზერვების წარმოებას ხელს უმლიდა. შემონმდა კონცხის შუა ნაწილში არსებული რამდენიმე ნაკვეთი, სადაც ძირითადად შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები შეგროვდა, გვხვდება ობსიდიანის მცირე ზომის ანატკეცებიც.

საყურადღებო სურათი დაფიქსირდა კონცხის სამხრეთ-აღმოსავლეთით გზისპირა ჭრილში, სადაც ჩანს დანალექი თიხის ქანები, რომელსაც ორ მეტრამდე სიმძლავრის კონგლომერატი ადევს. საინტერესოა, რომ აქვე, ჭრილში შეინიშნება რიყის ქვით ნაგები 1.5x1 მ ზომის კედლის ნაშთი და დაახლოებით 10 მეტრის

სიგრძეზე 0.2-0.3 მ სიმძლავრის კულტურული ფენა, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ნახშირისა და შუასაუკუნეების კერამიკის ფრაგმენტებს (სურ. 2-6).

AAS002 (ნაცხვარა) – მდებარეობს სოფ. არლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ზღვის დონიდან 1248 მეტრზე, გორაზე, რომელსაც ადგილობრივები თეთრმინებს უწოდებენ. გორის ჩრდილოეთ ნაწილში, ტერასისებური მოსწორება თითქმის შუაში კი ოვალური ფორმის, 10 მ სიმაღლის ხელოვნური, ქვა-მინა ყრილიანი ბორცვია აღმართული, რომლის გარშემო წერილობა თითქმის 250 მეტრია. ტერიტორია ჩრდილოეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრიდან გამოყოფილია ღრმა ხევებით.

ბორცვის ზედაპირი დარღვეული და უსწორმასწოროა, აღმოსავლეთი მხარე მშრალი ქვაყრილითა დაფარული. ბორცვის გარშემო, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ფერდზე ფიქსირდება დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. განირჩევა ქრონოლოგიურად რამდენიმე პერიოდის – ადრებრინჯაოს, სავარუდოდ შუაბრინჯაოს, გვიან ბრინჯაოსა და შუასაუკუნეების მასალა (სურ. 7-9).

AAS003 – მდებარეობს სოფელ წარბასთუმნის სამხრეთით, ზღვის დონიდან 1210 მ-ზე. ობიექტი წარმოადგენს, სოფლის აღმოსავლეთ ხევის კიდეს, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი გეოლოგიური პროცესების გამო მთლიანად ჩამოშლილია და შერჩენილია ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობების მცირე ნაწილი. გარდა ბუნებრივი პროცესებისა, აქ საქონლის გადასარეკი გზაა, შედეგად კი მთლიანი ტერიტორია დაზიანებულია, დასერილია ბილიკებად. ზედაპირზე, სამხრეთ ფერდობზე შეგროვდა ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 10).

AAS004 (ჩოფაშენი) – მდებარეობს სოფელ წარბასთუმნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლთან, ზღვის დონიდან 1355 მეტრზე. ამ ტერიტორიას ამჟამად სოფელ არლისა და წარბასთუმნის მოსახლეობა სათეს-საძოვრებად იყენებს, თუმცა ცნობილია, რომ აქ შუასაუკუნეებში საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა.

ჩოფაშენი წარმოადგენს ვაკე ადგილს, რომელიც ყველა მხრიდან შემოზღუდულია გორებით - ჩრდილოეთიდან და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება პალყაი გვერდი (მთა ირმის რქას აღმოსავლეთ ფერდობი), სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან

ზღუდავს უსახელო გორები, რომელთა ზედაპირიც მოსწორებულია სამეურნეო მიზნებისთვის. ნაკვეთების შემოწმებისას შეგროვდა არქეოლოგიური მასლა, წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითა და ობიექტების ანატკეცით. მასალა გავრცელებულია უსახელო ბორცვის სამხრეთით და აღმოსავლეთით (სეთოს ყანები) და ასევე სამხრეთ-დასავლეთით საკამაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. ცენტრალურ ბორცვსა და პალყაი გვერდს შორის ტერიტორია არ შემოწმებულა, ვინაიდან დიდი ნაწილი ხელოვნურად იტბორება და მიმდებარე არეალი დაჭაობებულია. მასალა არ დადასტურებულა ბორცვებზე. აღსანიშნავია, რომ ჩიფაშენში საბჭოთა პერიოდში განთავსებული იყო სამხედრო ბაზა. მთელს არეალზე გათხრილია სანგრები და მოწყობილია მინისქეშა ბუნკერები, შესაბამისად რელიეფი მნიშვნელოვნად არის სახეცვლილი (სურ. 11-12).

AAS005 (ირმის რქა) – მდებარეობს სოფ. წარბასთუმნის სამხრეთით 1 კმ დაშორებით, ზღვისდონიდან 1560 მეტრზე. ირმის რქა წარმოადგენს ოვალური ფორმის მთას, ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან გამლილი ფართო კალთებით, რომელიც დატერასებულია და ზედ ხელოვნური ტყეა გაშენებული. აღმოსავლეთი კალთა (პალყაი გვერდი) კი მკვეთრად დაფერდებულია და ჩიფაშენის დაბლობამდე გრძელდება. მთა ამ არეალში ყველაზე მაღალია და კარგად აკონტროლებს ირგვლივ სივრცეს – ჩრდილოეთის მხრიდან გადაჰყურებს ქვაბლიანისა და ოცხეს ხეობას, მესხეთის ქედამდე. დასავლეთის მხრიდან კი ნასოფლარ მარელისა და წყისეს ტერიტორიას, სოფ. ზაზალოსა და ერუშეთის ალპურ ნაწილს. სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან კი ჩიფაშენის მიდამოებს და ფოცხოვის ხეობას.

აღსანიშნავია, რომ მთის წვერი მოსწორებულია (ფართობი დაახლოებით 4.000 მ²) და საბჭოთა პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ზედ ასასვლელი გზაა გაჭრილი. უშუალოდ წვერზე გათხრილია სანგრები, სამხრეთით კი მინისქეშა ბუნკერია გამართული. მოსწორებული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით კონცენტრირებულია დიდი რაოდენობის მშრალი ქვაყრილი, რაც ვფიქრობთ, საბჭოთა პერიოდის აქტივობის შედეგია და აქ ზედაპირზე მანამდე მიმოფანტული ქვებია მიხვეტილი.

დაზერვების დროს აღმოსავლეთ ფერდობზე (პალყაი გვერდი) და უშუალოდ წვერზე დაფიქსირდა ადრე ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამხრეთ და დასავლეთ ფერდობზე შეინშნება შესაძლო საფორტიფიკაციო კედლების ნაშთები.

უკანასკნელ წლებში აქ ჩატარებულმა სამშენებლო სამუშაოებმა მნიშვნელოვნად დააზიანა აღნიშნული ობიექტი, აღმოჩნდა, რომ მთაზე არსებულა ადრე ბრინჯაოს ხანის მძლავრი ნამოსახლარი, ასევე შეინიშნება გვიან ბრინჯაოს ხანის აქტივობებიც (სურ. 13-14).

AAS006 (მარელი) – მდებარეობს სოფ. უდეს სამხრეთით, ზღვის დონიდან, საშუალოდ 1450 მეტრზე. აღნიშნული არეალი წარმოადგენს სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით დაფერდებულ ადგილს. ტერიტორია ჩრდილოეთით უსახელო ხევით სრულდება, აღმოსავლეთის მხრიდან შემოსაზღვრავს მთა ირმის რქა, სამხრეთიდან ბუზმარეთის მთა, დასავლეთიდან კი ნასოფლარ წყისეს მიდამოები. მარელის დიდი ნაწილი დატერასებულია და სამეურნეო ნაკვეთებია მოწყობილი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიდან“ ცნობილია, რომ ამ ტერიტორიაზე სოფელი არსებობდა. დაზვერვებისას თითქმის მთელ ტერიტორიაზე ფიქ-სირდებოდა ფეოდალური ხანის კერამიკა. ერთ-ერთ სამეურნეო ნაკვეთში კი შეგროვდა ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 15).

AAS007 (უდივლები) – მდებარეობს სოფელ უდეს სამხრეთით, ზღვის დონიდან 1400 მეტრზე. ტერიტორია ხასიათდება გაშლილი რელიეფით, სამხრეთით სრულდება ბუნებრივი გორითა და მარელის ხევით. დასავლეთით ესაზღვრება ბუნებრივი წარმოშობის მასიური გორა, ხოლო აღმოსავლეთით კი სოფ. წარბასთუმანს. დღეისათვის, ეს ტერიტორია მთლიანად, წარმოადგენს სოფლის სათეს-საძოვრებს. აღსანიშნავია, რომ რელიეფი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული სამეურნეო ნაკვეთებითა და საირიგაციო არხებით, სამხრეთით მდებარე გორაზე კი საბჭოთა პერიოდის სანგრებია გამართული. არქეოლოგიური მასალა გავრცელებულია დაახლოებით 2 კილომეტრის არეალში, განსაკუთრებით მრავლადა გორის ძირში არსებულ ყანებში. აქ გარდა კერამიკული მასალისა, დიდი რაოდენობით გვხვდება დამუშავებული ქვის ბლოკები (რომელებიც ყანების კიდეებზე გროვებადაა წარმოდგენილი). გორის ჩრდილოეთ და დასავლეთ ფერდობზე, ზოგიერთ ადგილას იკვეთება კედლის ნაშთებიც.

დაზვერვების დროს კერამიკული მასალა შეგროვდა სამხრეთით მდებარე ბორცვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ფერდობზე და მის გარშემო არსებულ სამეურნეო ნაკვეთებში. მასალის რაოდენობისა და მისი გავრცელების გათვალისწინებით აშეარა, რომ საქმე გვაქვს დაზიანებულ ნამოსახლართან, რომელიც

სამურნეო სამუშაოებით პერმანენტულად ზიანდება. აქ წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ნატეხების დიდი ნაწილი განეკუთვნება ანტიკურ ხანას, გვხვდება გვიან ბრინჯაოსა და შუა საუკუნეების ფრაგმენტებიც (სურ. 16-18).

AAS008 – ობიექტი მდებარეობს სოფელ წარბასთუმნიდან ბუზმარეთში მიმმავალი გზის პირას, უსახელო ხევის სამხრეთ ფერდობზე, დაახლოებით 500 მეტრიან მონაკვეთზე, გავრცელებულია კერამიკის უსახო ფრაგმენტები. მასალა არადიაგნოსტიკურია, ამიტომ თარიღის განსაზღვრა რთულია. უდიდესი ნაწილი სავარაუდოდ შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ალსანიშნავია, ერთ მონაკვეთზე დასტურდება ადრებინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 19-1).

AAS009 – ობიექტი მდებარეობს სოფელ უდეში, მის სამხრეთდასავლეთით, ხანდაკის უბანში, ზღვის დონიდან 1210 მ-ზე. ხანდაკის დასახლება ტერასულად არის შეფენილი ფერდობზე. ეს უბანი სოფლის სხვა მიმდებარე უბნებისგან ბუნებრივი რელიფით არ გამოიყოფა, მხოლოდ დასავლეთის მხრიდან არის შემოსაზღვრული ღრმა ხევით, რომელსაც ადგილობრივები „ბაიათხევს“ უწოდებენ. სწორედ ამ ადგილას, „ბაიათხევის“ თავზე მდებარეობს უდეს ცნობილი ზურგიანი კოშკი. მისგან სამხრეთით, დაახლოებით 100 მეტრში ფერდობზე დასტურდება დედაქანში გაჭრილი საგვირაბო სისტემა. აქედან აღმოსავლეთით კი, დაახლოებით 50 მეტრში ერთ-ერთი ადგილობრივის ბალში, სამურნეო ნაგებობის გაფართოების მიზნით გაკეთებულ თხრილი დავათვიქსირეთ (ზომა: 2x2 მ, სიღრმე 1.5 მ), რომლის თავზეც დიდი რაოდენობით გადარჩეული, შუასაუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ეყარა. აღნიშნული თხრილის ჭრილში შეინიშნებოდა გადამწვარი კულტურული ფენა (სურ. 19.2-3; 20-24).

AAS010 (ჭარო) – მდებარეობს სოფ. წარბასთუმანის აღმოსავლეთით ზღვის დონიდან 1280 მეტრზე. ტერიტორია გამოიყენება სათეს-საძოვრად. ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია ბუნებრივი გორით, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან უსახელო ხევით, ხოლო დასავლეთიდან უშუალოდ აკრავს თანამედროვე სოფელი. მთელს ტერიტორიაზე განსაკუთრებით მრავლადაა კერამიკული მასალის კონცენტრაცია. სამურნეო ნაკვეთების შემოწმებისას შეგროვდა შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ვფიქრობთ, აღიშნული ადგილი შუასაუკუნეების დროინდელი სოფ. წარბასთუმნის გაგრძელება უნდა ყოფილიყო (სურ. 25-26).

AAS011 – მდებარეობს სოფ. უდეს ჩრდილოეთით, მდ. ქვაბლიანის მარცხენა სანაპიროზე, მისგან 250 მეტრის დაშორებით, უდეა-ადიგენის დამაკავშირებელი გზის პირას, ზღვის დონიდან 1100 მ-ზე.

ობიექტი წარმოადგენს ბუნებრივი წარმოშობის ოვალური ფორმის, მაღალ გორას, რომელის მოსწორებულ ზედაპირზეც თანამედროვე მონუმენტური ჯვარია აღმართული, ჩრდილოეთ ფერდზე კი ჯვრამდე მისასვლელი კიბეა გაკეთებული. ბორცვი გაშლილ სივრცეში მდებარეობს, სამხრთისა და დასავლეთის მხრიდან დაახლოებით 50 მეტრში უსახელო ხევი ჩამოუდის.

ნამოსახლარი ჯერ კიდევ ადრე დაზიანებულა საავტომობილო გზის გაყვანის დროს, მშენებლობის შედეგად ჩამოჭრილია ბორცვის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთ კალთები. სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ფერდის ქვედა ნაწილში კი ტერასებია გაჭრილი.

გაირკვა, რომ აღნიშნული გორანამოსახლარი პირველად მესხეთ-ჯავახეთის არქ. ექსპედიციამ აღმოაჩინა ოთ. ლამბაშიძის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ ძეგლი მოინახულა არქეოლოგების ჯგუფმა, რომელთა მიზანიც ახალციხე-ბათუმის ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო კორიდორისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გამოვლენა-დაფიქსირება იყო. ანგარიშში ობიექტი (ნომრად №35) განხილულია, როგორც გვიანბრინჯაო-ადრერჯინის ხანის ნამოსახლარი და არაფერია ნათქვამი აქ შუა საუკუნეების ოკუპაციაზე. დაზვერვების დროს ბორცვის მთელ ზედაპირზე განსაკუთრებით სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს შორის ჭარბობს შეა საუკუნეების მასალა. აღსანიშნავია, რომ ბორცვის სამხრეთ და აღმოსავლეთ ფერდზე ზოგიერთ ადგილას შეინიშნება კედლის ფრაგმენტები (სურ. 27-30).

AAS012 – მდებარეობს სოფ. უდეს ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე ქვაბლიანის მარცხენა სანაპიროზე, ზემო აღწერილი გორიდან 1120 მეტრზე. მდ. ქვაბლიანის მარცხენა კიდეზე. ობიექტი წარმოადგენს სწორზედაპირიან, დაბალ დაახლოებით 2 მ სიმაღლის, ტრაპეციის ფორმის ბორცვს, რომელის პერიმეტრიც თითქმის 250 მეტრია.

ტერიტორიაზე დაზვერვების შედეგად არქეოლოგიური მასალა არ დადასტურებულა. აღსანიშნავია, ბორცვის ჩრდილო-

დასავლეთით ზედაპირზე დაფიქსირებული მართვულთა ფორმის, ქვით ნაგები ქვაყუთის მსგავსი მცირე ზომის კონსტრუქცია, რომელიც შესაძლოა სამარხს წარმოადგენდეს.

აღნიშნული ობიექტი ახალციხე-ბათუმის ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო კორიდორის მონიტორინგის დროსაც დაუფიქსირებიათ (ნომრად №36) და ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც კლასიკური პერიოდის ნამოსახლარი, თუმცა როგორც ითქვა, ჩვენი დაზვერვებისას მასალა არ აღმოჩენილა (სურ. 31,33-2).

AAS013 – მდებარეობს სოფ. უდეს სამხრეთით ზღვის დონიდან 1300 მეტრზე. ტერიტორია წარმოადგენს ჩრდილოეთის მიმართულებით ოდნავ დახრილ ტერასას, რომელიც დასავლეთის მხრიდან შემოზღუდულია ღრმა, უსახელო ხევით. უშუალიდ ხევის პირას მდებარეობს ოვალური ფორმის გორა, მის სამხრეთით კი ცალკე გამოიყოფა მცირე ზომის, წრიული ფორმის თავმოსწორებული ბორცვი. დაზვერვებისას არქეოლოგიური მასალა შეგროვდა ბორცვის სამხრეთით მოსწორებულ ტერიტორიაზე. მასალა წარმოდგენილია მცირე რაოდენობის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. გარდა ამისა, ტერიტორიაზე იკრიფება ანდეზიტისაგან დამზადებული პალეოლიტური იარაღებიც. აღსანიშნავია, რომ უშუალიდ ბორცვზე დაზვერვებისას მასალა არ დაფიქსირდა, ბორცვის მთლიანი ზედაპირი დაზიანებულია, აქვე უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის მხრიდან ბორცვის ძირში, სიგრძეზე გაყვანილია საირიგაციო არხი. აქვე, სამხრეთალმოსავლეთ ფერდობზე დაფიქსირდა დასავლეთალმოსავლეთ ხაზზე დამხრობილი 5.7 მ სიგრძის კედლის ფრაგმენტი, რომელიც ნაგებია ცალფად, დიდ ზომის ქვებით (სურ. 32,33-1;34).

მიმოხილვა

როგორც ძეგლების კატალოგიდან დავინახეთ, ამ არეალის არქეოლოგიური კონტექსტი საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენს მიერ დაფიქსირებული ძეგლები ზოგადად, ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონში ექცევა – ადრე ბრინაჯაოს ხანიდან – გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით. დაფიქსირებული ძეგლების პირველადი ქრონოლოგიური განსაზღვრა დამყარებულია ზედაპირზე შეგროვებულ მასალაზე. ძირითადი განმსაზღვრელი კერამიკაა. ჭურჭლის ფრაგმენტები – ფორმა, ფაქტურა და ზოგ შემთხვევაში ორნამენტი საშუალებას გვაძლევს მეტ ნაკლები სიზუსტით განვსაზღვროთ ძეგლების თარიღი.

დაზვერვების შედეგად დაფიქსირებული ობიექტებიდან ყველაზე ადრეული ადრებრინაჯაოს ხნით თარიღდება. ამ პერიოდის მასალა ხუთ ობიექტზე იქნა დადასტურებული – AAS002, AAS003, AAS005, AAS006, AAS008.

ხუთივე ძეგლიდან მომდინარე კერამიკული მასალის ნაწილი ტიპური მტკვარ-არაქსული ნაწარმია – მორუხო, მოშავო, მოჩალისფრო ან მონაცრისფრო პრიალა ზედაპირითა და ღია სარჩულით. უმეტესი მათგანი არადიაგნოსტიკურ ნაწილს შეადგენს და ნარმოდგენილია ჭურჭლის ტანის ფრაგმენტებით. ძეგლებზე AAS002 და AAS003-ზე შეგროვებული მასალის უმეტეს ნაწილს სწორედ ამ პერიოდის კერამიკის უსახო ფრაგმენტები წარმოადგენს. ძეგლზე – AAS008 ამ პერიოდის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა, მოჩალისფრო, პრიალა ზედაპირით. ობიექტზე AAS006 (მარელი) კი ერთ-ერთ ნაკვეთში მხოლოდ და მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა დადასტურდა, თუმცა მხოლოდ ერთია დიაგნოსტიკური, რუხი ფერის ხუფის ფრაგმენტი. ამ პერიოდის ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა ირმის რქიდან მომდინარეობს. აქ მშენებლობის დროს დაზიანებულ ნამოსახლარზე შეგროვებული კერამიკის უდიდესი ნაწილი ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება (სურ. 14-1). მიუხედავად მათი მცირერიცხოვნობისა და ერთგვაროვნებისა, ისინი იდენტურია ამავე რეგიონში შესწავლილი სინქრონული ძეგლებიდან მომდინარე მასალისა. ამიტომ, მათი ცალსახა მიკუთვნება ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის ეჭვს არ იწვევს და შეიძლება პირობითად ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევრით დავათარილოთ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ადრე გამოთქმული მოსაზრება თითქოს მტკვარ-არაქსის კულტურის მიერ სამცხის ეს ნაწილი ნაკლებად ჩანს ათვისებული, საბოლოოდ უარყოფილია [ჯაფარიძე და სხვ. 1981:15]. სადლეისოდ აღიგენის ტერიტორიიდან ცნობილია ადრებრინჯაოს ხანის I ი-მდე ძეგლი (ბლაშე, ბენარა, ვარხანი, ფარეხა, ამხერი და სხვ.) რომელთაც კიდევ შეემატა ჩვენს მიერ დაფიქსირებული ძეგლები. ეს ყველაფერი კი აშკარად მოწმობს, რომ ეს მხარე ძვ.წ. III ათასწლეულში ინტენსიურადაა ათვისებული და მტკვარ-არაქსის კულტურულ არეალში ექცევა.

ქრონოლოგიურად შემდეგი ჯგუფი შუა ბრინჯაოს ხანაა, ობიექტზე AAS002 გამოიყოფა რამდენიმე არადიაგნოსტიკური ფრაგმენტი, რომელიც კეცითა და ფაქტურით შესაძლოა შუა ბრინჯაოს ხანას (მესხურ ვარიანტს) განეკუთვნოს, თუმცა ამის მტკიცება

ერთეული ფრაგმენტებით რთულია. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის ამ ნაწილში შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლი შესწავლილი არ ყოფილა. ო. ჯაფარიძე და სხვ. ჩატარებული სადზერვო სამუშაოებზე დაყრდნობით მიუთითებდნენ, რომ შუა ბრინჯაოს ხანა სამცხის ამ ნაწილში წარმოდგენილი არ არის [ჯაფრიძე და სხვ. 1981:17], თუმცა მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციას ო. ლამბაშიძის ხელმძღვანელობით, როგორც ვთქვით, სოფ. უდესთან ე.წ. მესური ტიპის ყორღანების ჯავაფი დაუფიქსირებია [გამბაშიძე ი. დ. 1980:84], რომელსაც ჩვენ ამ დრომდე ვერ მივაკვლიერთ. ასეა თუ ისე, რაიმეს მტკიცების ან უარყოფის რეალური საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს.

ქრონოლოგიურად მომდევნო, გვიან ბრინჯაო-ადრე რეინის ხანის არქეოლოგიური მასალა კვლევის არეალში არ არის ინტენსიურად წარმოდგენილი და მხოლოდ 3 ობიექტზე (AAS002, AAS005, და AAS011) იქნა დაფიქსირებული. შესაძლოა უდივლებზე (AAS007) აღმოჩენილი ერთეული უსახო ნატეხებიც ამ ხანას განეკუთვნებოდეს. ფრაგმენტები ძირითადად არადიაგნოსტიკურია და ამიტომ ცალსახად დაკავშირება გვიან ბრინჯაოს ხანასთან რთულია და ამ შემთხვევაში ჩვენებული თარიღის განსაზღვრა უფრო ვარაუდია. ერთადერთი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ოკუპაციის შემთხვევა დასტურდება ირმის რქაზე (AAS005). როგორც აღინიშნა, აქ ბოლო წლებში ჩატარებული სამუშაოებით ნამოსახლარი დაზიანდა. ჭრილებსა და დაზიანებულ ფართობზე შეგროვებულ მასალაში გამოიყოფა რამდენიმე გვან ბრინჯაო-ადრე რეინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები, ზოომორფული ყურები, ტანის ფრაგმენტები ნაპრიალები ხაზებით, ამოღარული კონცენტრული ხაზებითა და ტალღისებური ორნამენტით შემკული (სურ. 14-2). მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა უკონტექსტოა, მაინც მრავალმხრივ საყურადღებოა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გვიან ბრინჯაოს ხანის ძეგლი რეგიონიდან ტოტალურად გათხრილი და შესწავლილი არ ყოფილა. ცალკეულ ძეგლებზე, გათხრების შედეგად დადასტურებულია ამ დროის მასალა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული არ არის. სოფ. უდეში აღმოჩენილ განძზე დაყრდნობით კი ეს რეგიონი გვიან ბრინჯაო-ადრე რეინის ხანაში კოლხური კულტურის არეალშია მოაზრებული, თუმცა ირმის რქიდან მომდინარე კერამიკა უფრო აღმოსავლეთ საქართველოსთან არის დაკავშირებული და პარალელური მოეძებნება ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა ხოვლებორა, თრელი და სხვ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მასალა უკონტექსტოა და მცირე რიცხოვანი, თუმცა მიუხედავად ამისა

გარკვეულ სიახლეებსა და კითხვის ნიშნებს წარმოშობს, ამიტომ ამ საკითხის კვლევა სამომავლოდ მნიშვნელოვანია.

დაზვერვების შედეგად ანტიკური ხანის მასალა მხოლოდ ერთ ობიექტზე, უდივლებზე (AA0007) აღმოჩნდა. შეგროვებულ თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის დიდი ნაწილი განეკუთვნება ძვ.წ. VI-IV საუკუნეებს და „კოლხური კერამიკის“ მსგავსია. ფრაგმენტების უმეტესობა შავზედაპირიანია, ასევე გვხვდება მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარიც. წარმოდგენილია ფორმათა მრავალგვარობა, გვხვდება ქვევრების, დერგების, ქოთნების, ფიალების, ჯამების და სხვათა პირ-ყელის, ძირისა და კედლის ფრაგმენტები. მათი უმრავლესობა შემცულია, რელიეფური ხაზებით, ქედებით, ამოღარული ჰორიზონტალური და ურთიერთგადამკვეთი ხაზებით და სხვა (სურ. 18). როგორც ცნობილია, დეკორის ეს ტიპი ერთ-ერთი დამახასიათებელია კოლხური კერამიკისათვის, მით უფრო ღარები, რომლებიც რიგ შემთხვევაში უსისტემოდ არის განლაგებული, როგორც ჩანს, ეს ღარები მოსწორების კვალია – ხელფიცრის ანაბეჭდია, რომლებიც მიუხედავად უსისტემობისა მთლიანობაში ზედაპირის დეკორს ქმნის.

განხილული ობიექტებიდან ერთეული გამონაკლისების გარდა, ყველგან დასტურდება მუა საუკუნეების მასალა. ამ პერიოდის ძეგლები ინტენსიურადაა წარმოდგენილი მთლიანად ადიგენის ტერიტორიაზე, რაც არცაა გასაკვირი. ის, რომ სამცხე ფეოდალურ ხანაში კულტურულ-ეკონომიკურად დაწინაურებული მხარე იყო, კარგადაა ცნობილი, ამიტომ ამ თემაზე აღარ შევჩერდებით.

როგორც ცნობილია, სამცხის განსაკუთრებული კრიზისი XVI საუკუნიდან იწყება, როდესაც ამ მხარეში ოსმალები გაბატონდნენ. სწორედ ამ პერიოდის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც დასახელებულია ამ პერიოდის სოფლები, ნახილი ამ სოფლებისა დღემდეა შემორჩენილი, უმეტესობა კი აღარ არსებობს და დღეს ამ მიდამოებში სათეს-საძოვრებია, თუმცა ერთ დროს სოფლის სახელები დღემდე ტოპონიმების სახითაა შემორჩენილი.

ჩვენს საკვლევ არეალში შუსაუკუნეების მასლა დაფიქსირდა 11 ობიექტებზე – AAS001, AAS002, AAS003, AAS004, AAS006, AAS007, AAS008, AAS009, AAS010, AAS011, AAS013.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილი ამ ობიექტებიდან „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ იხსენება, ნაწილი კი არა, რაც შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ ამ დროისთვის უკვე

ეს დასახლებები აღარ არსებობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შუასერი (AAS001). როგორც ამ ძეგლის დახასიათებისას აღვნიშნეთ, აქ, გარდა ზედაპირზე შეგროვებული მასალისა, ჭრილში რიყის ქვისაგან ნაგები კედლის ფრაგმენტიც დადასტურდა და იქვე, კულტურული ფენაც, საიდანაც საყურადღებო მასალა იქნა მოპოვებული (სურ. 2-2). თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების უმეტესობა წარმოდგენილია თხელკედლიანი, კარგად გამომწვარი, წმინდად განლექილი თიხისაგან დამზადებული, მოყვითალო-მოჩალისფრო ჯამების პირ-გვერდის ფრაგმენტებით. უმეტესობა სადაა, თუმცა ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია პირს ქვემოთ დატანილი ორი ურთიერთ გადამკვეთი ტალღსებური ხაზი (სურ. 3-1-2; 4-1-2), ერთზე კი ამგვარივე ხაზი წითელი სალებავითაა დატანილი (სურ. 6-2). ასევე გვხვდება ქილის ფრაგმენტები ამოღარული კონცენტრული ხაზებითა და ნახევარმთვარისებრი ნაჭდევებით. მრავლადაა კეცის ფრაგმენტებიც, ერთ მათგანს პირზე თოვისებრი ორნამენტი შემოუყვება (სურ. 6-3). ვფიქრობთ, შუასერის კოლექციაში განსაკუთრებით საინტერესოა ერთი თხელკედლიანი ჭურჭლის ტანის ფრაგმენტი, რომლის წითელი ზედაპირიც ნაპრიალები, ურთიერთ გადამკვეთი ხაზებითაა დაფარული, გადამკვეთ ხაზებს შორის დარჩენილი სივრცე კი რომბებს ქმნის, რომლებიც თავის მხრივ ჰორიზონტალური ხაზებითაა დაშტრიხული (სურ. 5-1). ამ ფრაგმენტის ზუსტი თარიღი და პარალელები ჩვენთვის უცნობია, თუმცა მასთან ერთად მოპოვებული ფრაგმენტების გათვალისწინებით, მათ შორის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებისა, ვფიქრობთ, შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

კიდევ ერთი ნამოსახლარი, რომელიც ოსმალური წყაროებში არ გვხვდება – ნაცხვარაა (AAS002). როგორც ითქვა, აქ სხავადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები შეგროვდა. მათ შორის უმეტესობა შუა საუკუნეებს განეკუთვნება და უსახოფრაგმენტებს წარმოადგენს, დიაგნოსტიკური ხაზილიდან გვხვდება ჯამ-ფიალების პირ-ყელის, დიდი ზომის ჭურჭლის ძირისა და პირის ფრაგმენტები (სურ. 26).

ჩოფაშენზე (AAS004) აკრეფილი კერამიკის ერთი ნაწილი შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ძირითადად წარმოდგენილია მოჩალისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი ფრაგმენტები, ზოგ მათგანზე შემორჩენილია ორნამენტიც, ირიბად ჭდეული რელიეფური ხაზი (სურ. 12-2). ასევე აღსანიშნავია მცირე ზომის, მონითალო-მოყავისფრო, მრგვალგანივეკვეთიანი ყურის ფრაგმენტი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მოჩალისფროდ

გამომწვარი ჭურჭლის უსახო ტანის ფრაგმენტები უსწორმას-ნორო ზედაპირითა და უხეში, მსხვლიმარცვლოვანი კეცით. როგორც ითქვა, აქვე აღმოჩნდა პრეიისტორიული ხანის ობსიდიანის ანატკეცზე დამზადებული იარალიც, რომელსაც ეტყობა გამოყენების კვალი (სურ. 12-4). კერამიკული მასალის გავრცელებით ჩოფაშენი საკმაოდ მასშტაბური დასახლება უნდა ყოფლიყო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს თურქეთ-საქართველოს შორის არსებულ სასაზღვრო ზოლშია მოქცეული. ჩოფაშენი, როგორც გვიანი შუა საუკუნეების ნამოსახლარი, ცნობილია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიდნ“ და აქ ამ ჟერიოდის მასალის დადასტურება შემთხვევითი არაა, თუმცა ვფიქრობთ, ამ ადგილის ათვისება გაცილებით ადრეა საგულისხმო [გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი ტ. II, 1941:68-69]. კერამიკული ფრაგმენტების ერთი ნაწილი უფრო ადრეული შეიძლება იყოს, ამასვე უნდა მოწმობდეს ობსიდიანის ანატკეციც, თუმცა ცალსახად თარიღის განსაზღვრა გვიჭირს.

როგორც ითქვა, სოფელ უდეს ტერიტორიაზე ხანდაკის უბანში დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები დადასტურდა. ცნობილია, რომ უდე გვიან შუა საუკუნეებში ნაპიეს ცენტრი იყო. სავარაუდოდ, სოფლის ცენტრალურ ნაწილს სწორდ ხანდაკის უბანი წარმოადგებდა. აქ მდებარეობს უდის ცნობილი ე.წ. ზურგიანი კოშკი, თუმცა თურქულენოვანი წყაროებიდან ირკვევა, რომ უდეში საკმაოდ დიდი ზომის ციხე ყოფილა „სოფელ უდის ციხის რაბათი; კაცი 3375....“, „ვაკუფი დიდებული ყურანის საკითხავად უდის ციხის წმინდა მეჩეთში...“ [გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი ტ. II, 1941:57-58], ტექსტში საუბარია, ციხეზე, რომელსაც რაბათი ჰქონდა. დღეს კი მხოლოდ ეს საფორთიფიკაციო ნაგებობაა შემორჩენილი, რომელიც შესაძლოა იმ ციხის ნაშთი იყოს. კოშკის აღმოსავლეთით დაახლოებით 50 მეტრში, აღმოჩნდა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

კერამიკული მასალა წარმოდგენილია ჭურჭლის პირ-ყელის, ძირის, ყურისა და ტანის უსახო, იშვიათად კი ორნამენტირებული ფრაგმენტებით. მიუხედავად ფრაგმენტულობისა, რიგ შემთხვევაში მოხერხდა ჭურჭლის ნაწილობრივ, ან სრული რესტავრაცია და მიახლოებითი ფორმების გამორკვევა. ძირითადად წარმოდგენილია სამზარეულო ჭურჭლი, გვხვდება – ჯამები, ფიალები, მცირე ზომის ქილები, ქოთნები და ქვაბ-ქოთნები. საერთოდ, ჭურჭლის ყველა ეს ტიპი მრავალფეროვანი მორფოლოგიური ნიშნით ხასიათდება, ამიტომ ყველა მათგანის დეტალური დახასიათებისგან თავს შევიკავებთ და ზოგადი აღწერით შემოვიფარგლებით.

ჯამ-ფიალების ნაწილობრივ აღდგენა მოხერხდა. ესაა მოჩალ-ისფრო ფერის, თხელ კეციანი, კარგად გამომწვარი ჭურჭელი, რომელიც დამზადებულია ჩარხზე, წმინდად განლექილი თიხის-გან. ზოგ შემთხვევაში ზედაპირი ნაპრიალებია. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ერთ-ერთ ჭურჭლის ბრტყელ ძირზე ამოკაწრულია ჯვარი (სურ. 23;24-2-3).

საინტერესოა, ქილები და ქვაბ-ქოთნები. ისინი დამზადებულია ხელით, უხეშადაა ნაძერწი და ცუდად გამომწვარი. კეცი ხასი-ათდება განსაკუთრებული სიუხეშითა და მსხვილმარცვლოვანი ქვიშისა და თეთრი ფერის მინარევებით (კვარცი ?). აღსანიშნავია ერთი უყურო, ოდნავ პირგადაშლილი, მაღალყელიანი ქოთანი, რომლის ფორმაც მთლიანად აღდგა. ის არათანაბრადა გამომ-წვარი, ზედაპირი მოშავო-მოყავისფროა და სუსტად ნაპრიალები. მხარსა და მუცელზე ამოღარული, ურთიერთ-პარალელური ზოლებისგან შედგენილი სარტყლებითაა გაფორმებული. პირს ქვემოთ, ცალმხარეს შემორჩენილია ჰორიზონტალურად მიძერ-წილი, კიდევბმომრგვალებული ბრტყელი შვერილი, რომელიც ზემოდან სწორია, ქვემოდან კი იდნავ მომრგვალებული. პირს შიდა მხრიდან გარს შემოუყვება ორი ამოღარული კონცენტრული ხაზი (სურ. 20-1).

გვხვდება მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი და სუსტად ნაპრიალები ქილის ზედა ნაწილი, რომელიც ხასიათდება მომ-რგვალებულპროფილიანი გარეთ გადახრილი სწორი პირით; დაბალი ყელითა და ორიბად შვეული მხრებით. უშუალოდ პირზე ჰორიზონტალურად მიძერწილია კიდევბმომრგვალებული მცირე ზომის ბრტყელი შვერილი. კეცი უხეშია, მსხვილმარცვლოვანი ქვიშისა და თეთრი მინარევით (სურ. 20-2).

ასევე აღსანიშნავია ქვაბ-ქოთანა ბიკონუსური, მხრებისაკენ აზიდული ტანით; მუცელსა და ჭურჭლის პირზე მიძერწილი ოვალურგანივეკვეთიანი და ასევე ოვალურად მორკალული ყურით; ყურის ძირზე თითის ნაჭდევით. ეს უკანასკნელი კეცითა და დამზადების წესით ზემოთ აღნერილი ქილისა და ქოთნის იდენტურია (სურ. 22).

ხანდაკის მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ყურები. გვხვდება როგორც ლენტური, თითის ანაბეჭდით, ასევე ოვალურგანივეკვეთიანიც. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ პირზე გადადის, ნაწილი კი მხართან, ან ყელთან არის დამაგრებული (სურ. 21).

ორნამენტირებული ფრაგმენტები იშვიათია, მხოლოდ რამდე-ნიმე ტანის ნაწილია, რომელიც შემკულია ამოღარული ტალღისე-ბური ხაზებითა და ნახევარმთვარისებური დეკორით (სურ. 21).

ხანდაკის მასალაში ჭურჭლის ნაწილი ხელითაა ნაძერწი და გამოირჩევა კეცის სიუხეშით, გარდა ჯამ-ფიალებისა, რომელთა კეციც კარგად განლექილია და ჩარჩოება ნაკეთები. ამ მასალას-თან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ფორმათა და დამზადების წესის არქაულობისა, გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. შვერილებიანი ქოთნების პარალელი ჩვენთვის უცნობია, თუმცა სხვა მასალა მათ შორის ყურები თითის ანაბეჭდით ცნობილია ამ პერიოდის თითქმის ყველა ძეგლიდან, მათ შორის ამავე რეგიონში შესწავლილი თისელის ნასოფლარიდანაც [მინ-დორაშვილი 2010:493-525].

გარდა განხილული ძეგლებისა, კიდევ რამოდენიმე ობიექტზე იქნა დადასტურებული ამ პერიოდის მრავალფეროვანი მასალა, მათ შორის ჭაროზე, სადაც საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება სადა, ნერჩაქიანი და მოქიქული კერამიკის ფრაგმენტები (სურ. 26). აღსანიშნავია მცირე ზომის ყალიონის ფრაგმენტი (სურ. 26-8).

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი დასახლება ჩანს ობიექტი ას011, ბორცვის მთელი ზედაპირი დაფარულია კერამიკული მასალით, გვხვდება კრამიტის, თიხის მილებისა და ჭურჭლის ფრაგმენტები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული 11 ობიექტის გარდა, ველზე მუშაობის პროცესში არაერთი შემთხვევა იყო ამ პერიოდის კერამიკული მასალის ერთეული ფრაგმენტების აღმოჩენისა, მაგრამ მასალის მცირერიცხოვნობის გამო ეს ობიექტები ნამოსახლარებად არ გვაქვს მიჩნეული და მათ პირობითად აქტიურ ზონას ვუწოდებთ, რაც გულისხმობს, რომ მომავალში ამ ობიექტების შემოწმება აუცილებელია, რათა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ეს „ზონები“ არქეოლოგიურ ობიექტებს.

დასკვნა

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სამცხის ამ ნაწილში სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებია წარმოდგენილი, ძირითადად, ადრე ბრინჯაოს ხანიდან – გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. მნიშვნელოვანია ცალკეულ ობიექტებზე დაფიქსირებული პალეოლითური ქვის იარაღები, რაც შედეგებს კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის.

რეგიონში ძეგლების ქრონოლოგიური მრავალფეროვნება, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია. მდიდარი ჰიდროქსელი და ბუნებრივი გადასასვლელები მის ინტენსიურ განსახლებას უწყობდა ხელს. საქარ-

თველოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ პერიოდში გამოიყოფა ისეთი მიკრო-გეოგრაფიული რეგიონები, რომლებიც კულტურის განსხვავბული, ლოკალური ვარიანტით გამოირჩევიან, რაც სხვადასხვა მიზეზებთან ერთად გარესამყაროსთან კონტაქტებითაც არის განპირობებული. ამ კუთხით, გამორჩეულ რეგიონს სამცხე და მით უფრო, ადიგენის მხარე წარმოადგენს, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში განსხვავებული კულტურული ტრადიციების მქონე რეგიონებთან იყო გეოგრაფიულად დაკავშირებული, ეს გარემოება კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა თავად ამ არქალში მოსახლე საზოგადოების სპეციფიკური კულტურის ფორმირებაში. სწორედ ამ კონტაქტებისა, და ზოგადად, სხვადასხვა პერიოდში მიმდინარე კულტურულ-ისტორიულ პროცესების გაგება-გააზრებაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია ამ მხარეში ჩატარებული კვლევები. თავის მხრივ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი შედეგები ავსებს მანამდე არსებულ მონაცემებს და სამომავლოდ, უფრო მასშტაბური კვლევის პერსპექტივას სახავს. ამ კუთხით პირველადი მონაცემების გამოქვეყნება და აკადემიურ სივრცეში ადაპტირება მნიშვნელოვან ნაბიჯად გვესახება.

განეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ლ. ლოსაბერძეს, ი. ესვანჯიას, გ. კირკიტაძეს, ნ. ცქვიტინიძეს, გ. მაღრაძეს, კ. კახიანს, ჯ. ჩხვიმიანსა და ყველა იმ კოლეგას, როემლიც 2013 წლიდან გვერდში გვიდგას, რჩევებს გვაძლევს და გვგულშემატ-კივრობს.

Gia Chilingarashvili

Archaeological Survey in Samtskhe Region - Adigeni area Summary

Archaeological survey in Adigeni Municipality of Samtskhe region was conducted in 2013-2015, and in 2017 when it was supported by I. Javakhishvili Tbilisi State University (with a student research project grant). This article mainly discusses some of the sites discovered in the vicinity of the villages of Ude, Arali and Tsarbastumani, between the rivers Kvabliani and Potskhovi.

In order to plan the survey, remote sensing method has been used based on the free-access satellite images such as Google Earth and Bing Maps. Afterwards, every potential site was checked using systematic terrestrial method. The sites have been named after the acronym AAS (Adigeni Archaeological Survey).

Archaeological study of the region has begun in the 1950s but the process turned unsystematically, mostly salvage archeological works were carried out and as a result, different period archeological sites revealed (Paleolithic, Chalcolithic, Early Bronze, Late Bronze, Classical and Medieval). Moreover, only a part of these works has been published and exact location of most of them is unknown. Recent archaeological research in the region was associated with the BP pipeline. During the construction of the pipeline several archaeological sites were excavated. There is the only one site discovered in the study area which is Orchosani multilayer settlement. Very briefly, this is the history of archaeological research of the region which shows multiform archaeological context of the area.

This article discusses 13 sites discovered during the survey. Most of them appeared to have been occupied in various times. Five of them (AAS002, AAS003, AAS005, AAS006, AAS008) dated to the Early Bronze Age and are associated to Kura-Araxes culture. Couple of non-diagnostic fragments of pottery with their fabric seems to be Middle Bronze Age.

Only three sites of the Late Bronze-Early Iron Age are recorded (AAS002, AAS005, AAS011). The most notable materials of this period were found at the AAS005 (Irmis Rka).

In our study area, medieval materials were observed at 11 sites (AAS001, AAS002, AAS003, AAS004, AAS006, AAS007, AAS008, AAS009, AAS010, AAS011, and AAS013). It should be noted that in the vicinity of the medieval settlement AAS013 can be found Paleolithic stone tools made of Andesite.

გამოყნებული ლიტერატურა


1. ახალციხე - ბათუმის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი, თბ., 2013
2. ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., თოდუა თ., ორჯონიკიძე ა., ახალციხის რაიონში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების კომპლექსური ტექნიკური ანგარიში (ძეგლი IV-323 ორჭოსანი, 249-ე კმ), თბ., 2007
3. გაბუნია მ., ნიორაძე მ., ნებიერიძე ლ., ნიორაძე გ., ჯაყელი ნ., ალაპიშვილი თ., ძველი და ახალი ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 2015
4. გაბუნია მ., ფანჩულიძე ს., ამხერის აშელური ხანის ადგილ-საპოვებელი, ძიებანი N8, გვ.5-11, თბ. 2001
5. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტომი II, რედ. ს. ჯიქა, თბ., 1941
6. კალანდაძე კ., ადრემინათმოქმედი ტომების კულტურის ნაშთები აბასთუმანში, საისტორიო კრებული V, გვ. 371-390, თბ. 1976
7. კალანდაძე კ., უძველესი ნასოფლარის ნაშთი აბასთუმნიდან, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, თბ. 1974 „მეცნიერება“
8. მინდორაშვილი დ., თისელის ნასოფლარი, ბაქო-თბილისი-ჯეიპანი სამხრეთ კავკასიის მიღსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ. 2010
9. ორჯონიკიძე ა., მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში, თბ. 2004
10. ორჯონიკიძე ა., სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ. 1983 „მეცნიერება“
11. ორჯონიკიძე ა., ჯიბლაძე ლ., კიდევ ერთხელ ორჭოსანის ნამოსახლარის შესახებ, ძიებანი № 19, თბ. 2010 გვ. 105-108
12. ღამბაშიძე ი., გოგოჭური გ., ოთხვანი ნ., მურვანიძე ბ., კახიანი კ., გვიან ქალკოლითური ხანის ნამოსახლარი ორჭოსანში, გადარჩენითი არქეოლოგია საქართველოში, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების პროექტი, გვ. 146-449, თბ. 2018
13. ღამბაშიძე ი., მინდორაშვილი დ., ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების მასალა ორჭოსანიდან, გადარჩენითი არქეოლოგია საქართველოში, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების პროექტი, 2018, გვ. 449-549

14. ლამბაშიძე ირ., მესხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1997 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი), თბ. 1997
15. ლამბაშიძე ო., ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ადიგენის რაიონში, „განახლებული მესხეთი“ № 53, (1 მაისი), ადიგენი 1978
16. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, უდის განძი, საბჭოთა ხელოვნება № 4. თბ., 1959
17. ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა., მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ., 1981
18. ჯიბლაძე ლ., ორჯონიკიძე ა., ორჭოსანის ნამოსახლარისა და სამაროვნის 2003-2000 წწ. გათხრების ძირითადი შედეგები, ძიებანი № 22, თბ., 2014
19. ჯორბენაძე ხ., დიმიტრი ბაქრაძის ნვლილი შემთხვევითი აღმოჩენების გადარჩენის საქმეში, ძიებანი № 15-16, თბ., 2005
20. Гамбашидзе О., Гамбашидзе И., Месхет-Джавахетская экспедиция, ПАИ в 1988 г, Тб.1997
21. Гамбашидзе О., Квикинадзе К., Орджоникидзе А., Отчет работы Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1977 г. Тб. 1980
22. Гамбашидзе О., Гамбашидзе И., Работы Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1987 г, Тб. 1995
23. Гамбашидзе О., Квикинадзе К., Работы Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1978 г, . Тб., 1981
24. Пхакадзе Г., Каландадзе К., Орджоникидзе А., Результаты работ Абастуманской экспедиции. ПАИ , Тб. 1982
25. Пхакадзе Г., Орджоникидзе А., Работы в Абастумани, АО 1977. Мос. 1978
26. Чубинишвили Т.Н., Татишвили Т.И., Гамбашидзе О.С., Археологические разведки в южных районах Грузии (Месхет-Джавахети) в 1953-1956 г. Мос.1957

სურათების აღწერილობა
Description of illustrations

- სურ. 1 დაზვერვებით დაფიქსირებული არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების რუკა;
Map of the distribution of archeological sites discovered during the survey;
- სურ. 2 AAS001, 1) სატელიტური ფოტო; 2) AAS001-ზე დაფიქსირებული კედლის ფრაგმენტი;
AAS001, 1) satellite image; 2) Fragment of the wall attested at the site AAS001
- სურ. 3 AAS001 ზედაპირზე შეგროვებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები;
AAS001 pottery sherds collected on the surface;
- სურ. 4-6 AAS001 კერამიული მასალა კულტურული ფენიდან;
AAS001 pottery sherds from the cultural layer;
- სურ. 7 1) AAS002 სატელიტური ფოტო; 2) AAS002 აერო-ფოტო, ხედი სამხრეთიდან;
1) AAS002 Satellite image; 2) AAS002 Aerial photo, view from the south;
- სურ. 8 AAS002, 1-3 შუასაუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; 4-7 გვიან ბრინჯაო - ადრე რეკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები;
AAS002, 1-3 medieval sherds, 4-7 LB-EA sherds;
- სურ. 9 AAS002, მტკვარ-არქსის კულტურის კერამიკის ფრაგმენტები;
AAS002, Kura-Araxes pottery sherds;
- სურ. 10 AAS003, 1) ხედი აღმოსავლეთიდან; 2) მტკვარ-არაქსული კერამიკა;
AAS003, 1) view from the East; 2) Kura-Araxes Ceramic;
- სურ. 11 AAS004, 1) ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 2) სატელიტური ფოტო, არქეოლოგიური მასალის გავრცელების ზონა;
AAS004, 1) View from the N-W; 2) Satellite image, the spread zone of archaeological material;
- სურ. 12 AAS004, 1-3 შუასაუკუნეების კერამიკა; 4 - ობსიდიანის იარაღი
AAS004, 1-3 Medieval sherds; 4 – Obsidian tool;
- სურ. 13 AAS005, 1) ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; 2) სატელიტური ფოტო;
AAS005, 1) View from the N-W; 2) Satellite image;


- სურ. 14 AAS005, 1) მტკვარ-არაქსული კერამიკა; 2) გვიან ბრინჯაოს ხანის კერამიკა;
AAS005, 1) Kura-Araxes pottery; 2) LBA pottery;
- სურ. 15 AAS006, ხედი აღმოსავლეთიდან;
AAS006, View from the East;
- სურ. 16 AAS007, 1) სატელიტური ფოტო, არქეოლოგიური მასალის გავრცელების ზონა; 2) ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან;
AAS007, 1) Satellite image, the spread zone of archaeological material; 2) View from the S-E;
- სურ. 17-18 AAS007, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები;
AAS007, pottery sherds;
- სურ. 19 1) მტკვარ-არაქსული კერამიკის ფრაგმენტები ობიექტიდან AAS008; 2) AAS009, სატელიტური ფოტო; 3) დარანი;
1) Kura-Araxes pottery sherds from AAS008; 2) AAS009, Satellite image; 3) Darani, (Defensive tunnel system);
- სურ. 20-24 AAS009, გვიანი შუასაუკუნეების თიხის ჭურჭელი;
AAS009, Late Medieval Pottery;
- სურ. 25 AAS010, ხედი ჩრდილოეთიდან;
AAS010, view from the North;
- სურ. 26 AAS010, შუასაუკუნეების კერამიკა;
AAS010, medieval ceramic;
- სურ. 27 AAS011, ხედი დასავლეთიდან;
AAS011, view from the West;
- სურ. 28 AAS011, კერამიკული მასალა;
AAS011, pottery sherds;
- სურ. 31 AAS012, 1) ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან; 2) ხედი ჩრდილოეთიდან;
AAS012, 1) View from the N-E; 2) View from the North;
- სურ. 32 AAS013, 1) ხედი აღმოსავლეთიდან; 2) ხედი სამხრეთიდან;
AAS013, 1) View from the East; 2) View from the South;
- სურ. 33 1) AAS013 – კედლის ფრაგმენტი; 2) AAS012 – სამარხი;
1) AAS013 – Fragment of the wall; 2) AAS012 – Grave;
- სურ. 34 AAS013, 1-4 შუასაუკუნეების კერამიკა; 5-ანდეზიტისაგან დამზადებული პალეოლიტური იარაღი;
AAS013, 1-4 medieval ceramic; 5- Paleolithic stone tool made of andesite;




Լուս. I




სურ. 2




სურ. 3



სურ. 4




სურ. 5



სურ. 6




სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



2

სურ. 10




1



2

სურ. II



სურ. I 2



1




2

Լոյն. 13

1



2



სურ. 14



სურ. 15


1




2





სურ. 16



სურ. I7









0 2 4 6


სურ. 20



სურ. 21




|






0 2 4 6


სურ. 22



სურ. 23



0 2 4 6




0 1 2 3

სურ. 24




სურ. 25




სურ. 26




სურ. 27



სურ. 28



სურ. 29



სურ. 30



1



2

სურ. 31



1



2

სურ. 32



1




2

სურ. 33



2



0 1 2 3

სურ. 34